ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 87

ქ.თეთრიწყარო 08 სექტემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **ი.მ თამაზ აზრუმელაშვილი** (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად სოფელ ხაიშის და დაბა მანგლისის სასაფლაოების შემოღობვის დასასრულებლად საჭირო მასალების მიწოდებით შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5 212,35 (ხუთი ათას ორასთორმეტი ლარი და 35 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებასა და მის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3 დაფინანსების წყარო 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 08 სექტემბრიდან 2017 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყოს შემსყიდველისათვის დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად მასალის მიწოდება სოფელ მანგლისში და სოფელ ხაიშში.
3.2. გადაცემული საქონლის შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ახლით შეცვლა.

"შემსყიდველი" ვალდებულია:
3.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხარისხიანი საქონლის დროულად გადაცემის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის გადაცემის შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშკრულების 3.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0,02 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის გადასახდელი თანხიდან.
5.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან მოსთხოვოს დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურება ან/და გამოუქვითოს გადასახდელი თანხიდან .
5.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისასშემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0,02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის გადაცემის შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომლესაც ხელს აწერს ორივე მხარე.
6.2 შემსყიდველის მხრიდან ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - მზია ადუაშვილი, მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - ივანე აფციაური, გამგებლის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
8.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობესთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლებებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:
– მხარეთა შეთანხმებით;
– ფორს-მაჟორული სიტუაციით;
– ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობითი შეატყობინოს მეორო მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომლესაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შსყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომლეიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ინსპექტირების პირობები

11.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და მატერილაური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი- მზია ადუაშვილი, მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - ივანე აფციაური გამგებლის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.
11.2 მიწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლი" მიერ საკუთარი ხარჯებით.

12. დავის გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 08 სექტებრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფისქ. N34,
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ LBRTGE22

მიმწოდებელი:

ი.მ თამაზ აზრუმელაშვილი
მის. სოფ. კოდა
ს/კოდი: 22001021078
ა/ა GE44LB0112179741008000
ს/ს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კ LBRTGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

ერეკლე კუხიანიძე

ი.მ თამაზ აზრუმელაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

დაბა მანგლისი

დანართი N1.

დასახელება	განზ.	რაოდენობა	ფასი	ჯამი	CPV
ფოლადის მილი დ-40X3, H=2.1	გ/მ	168	5.80	974.4	44100000
გლინულა	გ/მ	336	0.30	100.8	44300000
მავთულბადე დ=2,5 მმ; H=1,5 (ბადე 50X50)	$მ^2$	240	5	1200	44300000
ცემენტი	კგ	600	0.25	150	44100000
ქვიშა	$მ^3$	1	18.5	18.5	14200000
ხრეში	$მ^3$	1.5	9	13.5	14200000
ზეთოვანი საღებავი	კგ	4	7.5	30	44100000
ჯამი				2487.2	
ტრანსპორტირება	%	10		248.72	
ჯამი				2735.92	

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ხაიში

დანართი N2

დასახელება	განზ.	რაოდენობა	ფასი	ჯამი	CPV
გლინულა	გ/მ	480	0.30	144	44300000
მავთულბადე დ=2,5 მმ; H=1,5 (ბადე 50X50)	$მ^2$	360	5	1800	44300000
ცემენტი	კგ	900	0.25	225	44100000
ქვიშა	$მ^3$	1.4	18.5	25.9	14200000
ხრეში	$მ^3$	2.1	9	18.9	14200000
ზეთოვანი საღებავი	კგ	5	7.5	37.5	44100000
ჯამი				2251.30	
ტრანსპორტირება	%	10		225.13	
ჯამი				2476.43	

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: